რუსეთის ეკლესიის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში თემაზე – ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის ქრისტიანული გაგება

2021 წლის 17 ივნისს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა წმინდა სინოდის სხდომაზე წარმოადგინა მოხსენება ამა წლის ოქტომბრისათვის ჩანიშნული ერთობლივი კონფერენციის შესახებ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და გერმანიის ევანგელისტურ ეკლესიას შორის. კონფერენცია გაიმართება (გერმანია) და მისი თემ აიქნება ჯანმრთელობის და ავადმყოფობის გაგება თანამედროვე კონტექსტში.

წმინდა სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სსკგ თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიან: :

- ბერლინ-გერმანიის ეპარქიის მმართველი, რუზსკის მთავარეპისკოპოსი ტიხონი;
- საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი);
- საეკლესიო ქველმოქმედებისა და სოციალური მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე მღვდელმონაზონი პანტელეიმონი (ალეშინი);
- საგარეო საეკლესო კავშირების განყოფილების მდივანი ქრისტიანთაშორისი ურთიერთობის საკითხებში მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვო);
- მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა სამმართველოს სპეციალისტი მღვდელი ევგენი მოროზოვი;
- საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თანამშრომელი ბერდიაკონი პეტრე (ახმატზანოვი);
- ბერლინ-გერმანიის ეპარქიის თანამშრომელი იპოდიაკონი ნიკოლოზ ტონი;
- საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თანამრომელი მ. ბ. ნელუბოვა;
- საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების კონსულტანტი ე. ს. სპერანსკაია.

სსკგ კომუნიკაციების სამსახური

გაზიარება:

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87473/